ცნობა

დამკვეთი: გოჩა ხუციშვილი (ტელ: 597 366 349)

საფუძველი: 12/1335113-16 17.12.2013 წ.

მისამართი: ქ. თბილისი, ოჟიოს ქუჩა №1

საკ.კოდი: № 01.10.13.030.012

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება: № 409681 29.10.2012 წ.

მშენებლობის სანებართვო მოწმობა: AR175914

ფუნქციური დანიშნულება: სავაჭრო ცენტრი (III კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (20.01.2014) დადგინდა:

ფასადი „ა-გ“: +3.65 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი, ხოლო აგურის მოპირკეთებაზე დეკორატიული ხაზები. შეცვლილია ვიტრაჟების, კარების და ფრამუგების ნახატი. „ა-ა“ და „გ-გ“ ღერძებთან გაზრდილია სახურავის გადასვლა და შეცვლილია წყალშემკრები მილების ფორმა. პარაპეტის თავზე დამატებულია თუნუქის ფურცელი. შენობის ძირი არ არის მოპირკეთებული პროექტის შესაბამისად.

ფასადი „გ-ა“: +6.18 ნიშნულზე სახურავის ძირი შესალესი და შესაღებია. შეცვლილია სამივე კარის გაბარიტი და ნახატი. ფრამუგა შეუვსებელია.

ფასადი „1-10“: „1-2“ მონაკვეთში არ არის შევსებული მინაბლოკის ღიობი და დამატებულია სამი შეუვსებელი ღიობი. სახურავზე ფრამუგების ნაწილი შეუვსებელია, ხოლო ნაწილის ნახატი შეცვლილია. „9-10“ მონაკვეთში დამატებულია ფრამუგა და ორი მინაბლოკის ღიობი. „3-4“ მონაკვეთში მინაბლოკის ღიობებს შეცვლილი აქვს გაბარიტი და ადგილი, ხოლო „4-9“ მონაკვეთში შუაკედლისით გაყოფილია ორად. ფრამუგებზე არ არის მოწყობილი ლითონის ცხაურები.

ფასადი „10-1“: „5-4“ მონაკვეთში დამატებულია ორი მინაბლოკის ღიობი. „5-4“ მონაკვეთში მინაბლოკის ღიობებს შეცვლილი აქვს გაბარიტი და ადგილი, ხოლო „9-5“ მონაკვეთში შუაკედლისით გაყოფილია ორად. ფრამუგებზე არ არის მოწყობილი ლითონის ცხაურები. „2-1“ მონაკვეთში არსებული ღიობები არ არის შევსებული მინაბლოკით და დამატებულია ლითონის კარი. შეცვლილია გრუნტის ნიშნულები.

პირველ სართულზე „ა-ბ“ მონაკვეთში მარცხენა კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი „ა-ა“ ღერძისკენ, გაუქმებულია ფრამუგა, ორი ვიტრაჟი და დამატებულია ვიტრაჟი. აღნიშნულ მონაკვეთში დამატებულია პანდუსი და საფეხურები. ხოლო მარჯვენა კედელზე კარის და ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ჟალუზები, გაუქმებულია ვიტრაჟი და კარს მონაცვლებული აქვს ადგილი. „9-10“ მონაკვეთში ნიშაში კარს და ვიტრაჟებს მონაცვლებული აქვს ადგილი „9-9“ ღერძზე. სამი ფასადი შესაღები და ნაწილობრივ შესალესია. შენობის შიდა სივრცეში ±0.00 ნიშნულზე „3-4“ მონაკვეთში შიდა კიბეებზე შემცირებულია საფეხურების რაოდენობა და გაბარიტი. „4-4“ ღერძზე დამატებულია ორი კაპიტალური კოლონა. „8-9“ მონაკვეთში შეცვლილია პანდუსის ფორმა, გაბარიტი და გაუქმებულია შიდა კიბე. +3.45 ნიშნულზე „6-8“ მონაკვეთში იატაკის ფილაზე შემცირებულია ღიობის, ხოლო „4-5“ მონაკვეთში შიდა კიბის და მისი ღიობის გაბარიტი. „9-9“ ღერძზე შიდა კიბესტან არ არის მოწყობილი ელექტრო საწევარა.

პროექტის ხარვეზი: პროექტში ნაჩვენები არსებული შენობის ნაწილის ნახაზები ნაწილობრივ არ შეესაბამება ადგილზე არსებულს.

შეამოწმა: ..... ნ. დონაძე